შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი
ანრი

„ამტკიცებ“
შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო
საწავლებელი ანრის რექტორი
_____ რ.დიასამიძე
27.03.2019წ.

საგანმანათლებლო პროგრამების აგების, დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი

Regulation for planning, creation, approval, development and repeal of educational programs

ნდ № 2-0401-12

“შემმუშავებელი”
ხმს სპეციალისტი
_____ ლ.ფარტენაძე
27.03.2019წ.

ბათუმი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1. **შემუშავებულია –** ხმს სპეციალისტი ლია ფარტენაძის მიერ;
2. **დამტკიცებულია –** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2019 წლის 27 მარტის სენატის სხდომის ოქმი N07);
3. **მოქმედებაშია –** დამტკიცების დღიდან;
4. **პერიოდული შემოწმება –** წარმოებს შემმუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. **ცვლილებები –** ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა პროცედურა. ცვლილების შეტანის აუცილებლობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფისა და მართვის სამსახურის მიერ;
6. არსებული პროცედურა ძალას კარგავს ახალი პროცედურის (ვერსიის) დამტკიცების შემთხვევაში.

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცირკულარული წერილის ~ (ცვლილებათა შეტანის შესახებ)	დამტკიცების თარიღი	შეცვლილი პუნქტები (გვერდები)	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

შინაარსი

1. გავრცელების სფერო 5
2. ნორმატიული მითითებები 5
3. ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები 5
4. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და ამოცანები..... 8
5. საგანმანათლებლო პროგრამების აგების წესი 11
6. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა..... 12
7. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება..... 13
8. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება და განვითარება..... 13
9. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, შეჩერება/გაუქმება..... 13
10. საგნობრივი სილაბუსების შედგენა 14
11. სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია 15
12. სწავლებისა და სწავლის მეთოდები..... 15
13. შემოწმება. კონტროლი 17
14. რესურსები 18
15. პასუხისმგებლობათა და უფლებამოსილებათა განაწილება 18
16. ანგარიშგებითი დოკუმენტაცია..... 18
17. კონფიდენციალობა 18
დანართი 1 სილაბუსის ნიმუში 19
18. პერიოდული შემოწმების ფურცელი 21
19. პერსონალის გაცნობის ფურცელი 22
20. შეთანხმების ფურცელი 24

საგანმანათლებლო პროგრამების აგების, დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი

Regulation for planning, creation, approval, development and repeal of educational programs

1. გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დოკუმენტი ადგენს შპს ბუსსს ანრის სასწავლო განყოფილება - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე არსებული სპეციალობების საგანამანათლებლო პროგრამის აგების ინსტრუქციას;
2. ინსტრუქციის აღრიცხული ეგზემპლიარი ინახება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში (როგორც ელექტრონული ასვე მყარი ვერსიები), ხოლო ელექტრონული ვერსიით დაგზავნილია სწავლო განყოფილებაში და ხელმისაწვდომია შიდა ქსელში და სასწავლებლის ვებგვერზდე;
3. არსებული დებულების დასაგზავნი ეგზემპლიარების მომზადება და დაგზავნა ხდება შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის მიერ.

2. ნორმატიული მითითებები

2.1 არსებული დებულების მომზადებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნები:

1. საქართველოს კანონი"უმაღლესი განათლების შესახებ";
2. საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ";
3. საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
4. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება – „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ"
5. ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები
6. ISO 9001:2015 - ხარისხის მართვის სისტემა. მოთხოვნები;
7. ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
8. ნდ №2-010101 - წესდება;
9. ნდ N2-020101 –ხარისხის სახელმძღვანელო;
10. ნდ 2-0201-01- შიდა ნორმატიული დოკუმენტების დამუშავებისა და მოქმედებაში მოყვანის პროცესის პროცედურა;
11. ნდ 2-0201-02-„დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცესის პროცედურა

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 ტერმინები, განმარტებები

1. **აკადემიური თავისუფლება** – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება დამოუკიდებლად განახორციელონ სამეცნიერო კვლევა, სწავლება და სწავლა;
2. **აკადემიური წელი** - არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს;
3. **აკადემიური უმაღლესი განათლება** – უმაღლესი განათლების კურსი, რომელიც შეიცავს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებს;
4. **აკადემიური ხარისხი** – კვალიფიკაცია, რომელსაც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის დამთავრებისას ანიჭებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ან მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება;
5. **აღრიცხული ეგზემპლარი** - მოქმედი დოკუმენტის ეგზემპლარი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო გრიფი "საკონტროლო ეგზემპლარი" და თან ერთვის შეტანილი ცვლილებები;
6. **ბაკალავრიატი** – აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი სპეციალობის საფუძვლების სწავლებას, რაც აუცილებელია პირის მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის და მაგისტრატურაში შემდგომი სწავლისათვის;
7. **ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება;
8. **დიპლომი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

9. **დიპლომის დანართი** – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან ერთად გასცემს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დასადასტურებლად;
10. **ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, მათ შორის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებს;
11. **კონტროლი** - ქმედება, რომელიც ითვალისწინებს გაზომვას, ექსპერტიზას, გამოცდას და შეფასებას ობიექტის ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის წინასწარ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად;
12. **კვალიფიკაცია** – სწავლის შედეგი, რომელიც მიიღწევა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით და დასტურდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომით ან სერტიფიკატით;
13. **კრედიტი** - სტუდენტზე სასწავლო მასალის ათვისებისათვის გამოყოფილი სრული დრო. 1ECTS=25 ასტრონომიული საათი;
14. **მოდული** – სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას;
15. **ნორმატიული დოკუმენტი** - დოკუმენტი, რომელიც ადგენს წესებს, საერთო პრინციპებს ან მახასიათებლებს გარკვეული მოღვაწეობის სფეროსათვის;
16. **პროცედურის, დებულების ან სახელმძღვანელოს სამუშაო ინსტრუქცია** - გარკვეულ სამუშაოთა შესრულების წესი;
17. **პროცედურა** - საქმიანობის ან პროცესის შესრულების- დადგენილი მეთოდი (ხერხი). პროცედურა შეიძლება ეწოდოს როგორც პროცესს (პროცესების ერთობლიობას), ასევე დოკუმენტს, რომელშიც აღწერილია პროცესის განხორციელების სწორი გზა;
18. **პერიოდული შემოწმება** - არის ქმედება, რომელიც ითვალისწინებს ნორმატიული დოკუმენტის გადამოწმებას მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის მიზნით;
19. **პროცესი** - ურთიერთდაკავშირებული რესურსებისა და ქმედებათა ერთობლიობა, რომელიც ხდის პროცესის შესასვლელ ელემენტებს გამოსასვლელ ელემენტებად;
20. **რეგულირებადი პროფესია** – საქმიანობა, რომლის განხორციელების წინაპირობა, შესაბამისი კვალიფიკაციის გარდა, არის სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა;
21. **რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამა** – პროგრამა, რომლისთვისაც სახელმწიფო ადგენს სპეციალურ სააკრედიტაციო მოთხოვნებს ან/და რომლითაც მაგისტრისა და დოქტორის მომზადებას სახელმწიფო უზრუნველყოფს სპეციალური კვლევითი პროგრამების მეშვეობით;
22. **რესურსი** - ყველაფერი რაც უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის მუშაობას (მიეკუთვნება პერსონალი, მომსახურება, მოწყობილობები, დროის რესურსები, ტექნოლოგია და მეთოდოლოგია);
23. **საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი)** – უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები;
24. **სასწავლო განყოფილება** - შპს ბუსსს ანრის სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი
25. **სასწავლო განყოფილების უფროსი** - შპს ბუსსს ანრის სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის უფროსი
26. **სასწავლო კვირა** - არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას;
27. **სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი)** – დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების შესახებ;

28. **შეფასების კომპონენტები** – შეფასების ფორმების ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, სპექტაკლი, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა.
29. **შეფასების კრიტერიუმი** – შეფასების მეთოდის საზომი ერთეული, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების მეთოდი – საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოსაყენებელი საშუალება/საშუალებები (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა/დადგმა, საკონცერტო შესრულება, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ);
30. **შეფასების ფორმები** – შეფასების ფორმებია შუალედური შეფასება (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას;
31. **სწავლის შედეგები** – საგანმანათლებლო პროგრამის, მოდულის, სასწავლო კურსის დასრულების შედეგად სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა და შეძენილი უნარები;
32. **სემესტრი** - არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს;
33. **სტუდენტი** – პირი, რომელიც ამ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად;
34. **მობილობა**–სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილება სწავლის, სწავლებისა და კვლევის პროცესებში მონაწილეობისათვის როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;
35. **სენატი** – შპს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

36. **უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩო** – ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული უმაღლესი განათლების ყველა კვალიფიკაცია;
37. **შემოწმება** - ობიექტური მტკიცებულებითა და ექსპერტიზის გზით დადგენილი მოთხოვნების შესრულების დადასტურება წერილობით;
38. **ცვლილება** - ნორმატიული დოკუმენტის ცალკეული ფრაგმენტის მოდიფიკაცია (დამატება, შეკვეცა ან შეცვლა);
39. **ხარისხის უზრუნველყოფა** – შიდა და გარე შეფასების პროცედურები, რომელთა განხორციელება ხელს უწყობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებას;

3.2 შემოკლებები

1. **შპს ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
2. **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშირისო ორგანიზაცია
3. **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
4. **მფ** - მოქმედი ფორმა
5. **ხმს** - ხარისხის მართვის სისტემა
6. **ფაკულტეტი** - სასწავლო განყოფილება - საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტი
7. **ხარისხის სამსახური** - შპს ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური

4. საგანამანათლებლო პროგრამის მიზანი და ამოცანები

4.1. ზოგადი დებულება

1. საგანმანათლებლო პროგრამის აგებისას უნდა იყოს გათვალისწინებული და ორიენტირებული შემდეგ ფაქტორებზე:

- ორიენტირებული სტუდენტის ინტერესები;
- ცოდნაზე, უნარების განვითარებასა და პროფესიონალიზმზე;
- სწავლის შესაძლებლობაზე სიცოცხლის ნებისმიერ ეტაპზე;
- ეთიკისა და მოქალაქეობის განცდის განვითარებაზე;
- ელასტიურობასა და ინოვაციებზე;
- ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებაზე;
- საზოგადოების წევრების პატივისცემასა და ტოლერანტობაზე;
- გარემომცველი სამყაროს დაცვაზე.

2. კრედიტების განაწილება

კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.
სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25-30 ასტრონომიული საათის განმავლობაში და მოიცავს, როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.
კრედიტთა განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის უნდა ეფუძნებოდეს საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგის მისაღწევად. კრედიტების განაწილების სისწორე უნდა შემოწმდეს სტუდენტის რეალური დატვირთვის შესახებ სრული ინფორმაციის შეგროვებითა და ანალიზით, რაშიც აკადემიურ პერსონალთან/სამეცნიერო პერსონალთან ერთად სტუდენტებიც უნდა იღებდნენ მონაწილეობას.
კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.
ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის მოიცავს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს.“;

3. სასწავლო კვირა/სემესტრი/წელი

1) სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებლ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.
2) სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.
3) აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.
4) ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს.
5) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.“

4. სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი

1) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

2) სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმი ნიშნავს სტუდენტის სასწავლო დატვირთვას კვირაში დამოუკიდებელი და საკონტაქტო საათების ჯამური მოცულობით არაუმეტეს 25 საათისა.
3) სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის განსაზღვრისას ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 30 (ECTS) კრედიტს.“

5. პროგრამის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ECTS-ის ძირითადი პრინციპები:

შპს ბუსსს ანრის მიერ მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამების შედგენის ინსტრუქცია ეფუძნება საერთაშორისო საზღვაო კონვენცია „მეზღვაურების მომზადების, დიპლომირებისა და ვახტის გაწევის შესახებ“, ცვლილებების გათვალისწინებით; შემდგომში STCW (International Convention on Standards of Training, Certification and Watchkeeping for Seafarersas, as amended), „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონი, ცვლილებებით და საქართველოს კანონების: “უმაღლესი განათლების შესახებ”, „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის ბრძანება №120/ნ „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ (ცვლილებითა და დამატებებით) და “მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ” ძირითად მოთხოვნებს.

განათლების სფეროში საქართველო აქტიურად თანამშრომლობს ევროკავშირთან. ევროკავშირში შემავალ ქვეყნებში “ბოლონიის პროცესის” სახელით მიმდინარე ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება. შემოღებულია კრედიტების სისტემა, რომელიც წარმოადგენს ძირითად მექანიზმს სტუდენტთა მობილობის ხელშესაწყობად. ევროპის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში მიღებული ცოდნის აღიარებას კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა (ECTS) უზრუნველყოფს. ეს სისტემა, რომელსაც კრედიტების დაგროვების ფუნქციაც აკისრია, ბოლონიის პროცესში მონაწილე ყველა ქვეყნის მიერაა აღიარებული. ECTS-ის მეშვეობით ადვილდება სასწავლო პროგრამების გაგება და შედარება. ამ სისტემის გამოყენება შეიძლება ნებისმიერი სახის პროგრამისათვის, მიუხედავად მისი ტიპისა, და აგრეთვე, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შემთხვევაშიც. ეს სისტემა ემსახურება როგორც მობილურ, ასევე არამობილურ სტუდენტებს. მისი გამოყენება კრედიტების დასაგროვებლად შესაძლებელია როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიგნით, ასევე ერთი სასწავლებლიდან მეორეში გადასვლის დროსაც. სისტემა ითვალისწინებს დამოუკიდებელ სწავლასა და სამუშაო გამოცდილებას.

ECTS-ი ეფუძნება პრინციპს, რომ დასწრებული სწავლების ფორმის სტუდენტის დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში 60 კრედიტით განისაზღვრება. კრედიტის საათობრივი ზომის განსაზღვრა ეფუძნება სასწავლო წლის კვირეულ და სამუშაო კვირის საათობრივ ხანგრძლივობას. სტუდენტისათვის სწავლის პროცესი არის ჩვეულებრივი შრომითი საქმიანობა და მასზე ვრცელდება შრომის კანონმდებლობით დადგენილი 40-41 საათიანი სამუშაო კვირა. რაც იმას ნიშნავს, რომ საშუალო სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კვირეული მასალის ასათვისებლად არ უნდა საჭიროებდეს 40-41 საათზე მეტს. სტუდენტის დატვირთვა ECTS-ის მიხედვით არის დრო, რომელიც საჭიროა ისეთი სასწავლო საქმიანობის განხორციელებისათვის, როგორიცაა ლექციებსა და სემინარებზე დასწრება, დამოუკიდებელი სწავლა, პროექტებისა და გამოცდების მომზადება, სასწავლო ან საწარმოო პრაქტიკის გავლა და ა.შ. შპს „სსც ანრი“–ში სასწავლო წლის ხანგრძლივობა 38 კვირას შეადგენს, საიდანაც გამომდინარეობს, რომ 1 ECTS კრედიტი დაახლოებით 25 ასტრონომიული საათის ტოლია. შესაბამისად, ყოველი სემესტრის ხანგძლივობა – 19 კვირაა, საიდანაც 15 კვირა - საკონტაქტოა, ხოლო 4 კვირა - საგამოცდო. თითოეულ სასწავლო წელს სტუდენტმა უნდა შეასრულოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში).

4.2. მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ინსტრუქციის მიზანია:

1) დაეხმაროს პროგრამულ მიმართულებებს შეიმუშაონ ისეთი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ საზღვაო ინდუსტრიისა და საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს;
2) დაეხმაროს პროგრამულ მიმართულებებს მაქსიმალურად გაითვალისწინონ ბოლონიის პროცესის ძირითადი მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას;

3) უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა საქართველოს მთავრობის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ნორმატიულ დოკუმენტებთან.

4.3. შინაარსი

1) საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ინსტრუქციის საფუძველზე შესაძლებელია მომზადდეს საბაკალავრო ან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.
2) ს ა ბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 240 ECTS კრედიტი. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად კურსდამთავრებულმა წარმატებით უნდა დაასრულოს 240 კრედიტიანი საბაკალავრო პროგრამა.
3) სემესტრული დატვირთვის კრედიტების რაოდენობა განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის (როგორიცაა მოდულები, კურსები, სემესტრები, სასწავლო-საცურაო პრაქტიკა და ა.შ.) და ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ კომპონენტის სპეციფიკური მიზნებისადა სწავლის შედეგების მისაღწევად. იგი დაკავშირებულია სასწავლო წლის განმავლობაში აუცილებელი სამუშაოს მთლიანი მოცულობის წარმატებით შესრულებასთან;
4) კრედიტის განაწილება შეიძლება ნებისმიერი ტიპის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, მიუხედავად პროგრამის ხანგრძლივობისა და სტრუქტურისა. ეს შეიძლება იყოს ერთწლიანი კურსები ან უფრო მოკლე მოდულები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდნენ სასწავლო-საწარმოო ან საცურაო პრაქტიკასა და კვლევას;
5) საზღვაო ფლოტში დასაქმებული სპეციალისტები (მეზღვაურები), რომლებსაც სურთ მოიპოვონ გემის მართვის დონის სამეთაურო თანამდებობის (გემის კაპიტანი, გემის კაპიტნის უფროსი თანაშემწე, გემის უფროსი მექანიკოსი) დაკავების უფლება (ლიცენზია), უნდა ფლობდნენ საინჟინრო მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიურ ხარისხს შესაბამისად საზღვაო ნავიგაციის ან გემის მექანიკოსის სპეციალობით.
6) საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის „საზღვაო ნავიგაციისა“ და „გემის მექანიკოსი“-ს სპეციალობების კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია უნდა აკმაყოფილებდეს საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) მოთხოვნებს და რეგულარულად კონტროლირდებოდეს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს გაერთიანებული სატრანსპორტო ადმინისტრაციის საზღვაო დეპარტამენტის მიერ. მეზღვაურთა „წვრთნის, სერტიფიცირებისა და ვახტის გაწევის სტანდარტების“ (STCW) საერთაშორისო კონვენციაში მოცემულია არა მხოლოდ ზემოთჩამოთვლილი სპეციალობების აუცილებელი კომპეტენციების ნუსხა, არამედ მოცემულია იმ აუცილებელი სასწავლო დისციპლინების (ე.წ. Model Course) დეტალური აღწერა (სილაბუსი), რომლებიც უნდა შეისწავლოს მომავალმა მეზღვაურმა. ამის გამო საზღვაო ნავიგაციისა და გემის მექანიკოსის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების აგებისას გათვალისწინებულ და დაკმაყოფილებულ უნდა იქნას საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის (IMO) შესაბამისი მოდელ-კურსების მოთხოვნები;
7) სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ 13.06. 2017 წელს შემუშავდა **უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები,** რომლებშიც გაწერილია:
   - **სპეციალობა - საზღვაო ინჟინერია:**
     ზოგადი ინფორმაცია, დარგობრივი მახასიათებლის მიზანი, დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, დარგის აღწერა, დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები, დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები) - STCW კოდექსის A-III/1; III/2 ცხრილის მოთხოვნათა შესაბამისად, მოთხოვნები საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი, მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი, დამატებითი ინფორმაცია.
   - **სპეციალობა - საზღვაო ნავიგაცია:**
     ზოგადი ინფორმაცია, დარგობრივი მახასიათებლის მიზანი, დარგის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტები, დარგის აღწერა, დასაქმების შესაძლებლო სფერო/სფეროები და სპეციალური მოთხოვნები, საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა და შესაძლო სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები, დარგობრივი კომპეტენციები (დარგობრივი ცოდნა და უნარები) - STCW კოდექსის A-II/1; A-II/2; A-II/3 ცხრილების შესაბამისად, მოთხოვნები

საგანმანათლებლო პროგრამის რესურსებისადმი, მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი, დამატებითი ინფორმაცია.

8) ყველა ეს მოთხოვნები უნდა იქნეს გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამების აგებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავების დროს.

5. საგანმანათლებლო პროგრამის აგების წესი

1) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ასაგებად განისაზღვროს შემდეგი წესი:
   - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შპს ბუსსს ანრიში მოიცავს 240 კრედიტს;
   - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციის შედგენისას უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდოლოგია, შესაბამისი კვალიფიკაცია და დასაქმების შესასძლო სფერო;
   - მისანიჭებელი კვალიფიკაციის დეტალური აღწერა უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:
     - ცოდნა და გაცნობიერება;
     - ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;
     - დასკვნის უნარი;
     - კომუნიკაციის უნარი;
     - სწავლის უნარი;
     - ღირებულებები.
   - თითოეულ სასწავლო წელს სტუდენტმა შესაძლოა შეასრულოს 60 კრედიტი (30 კრედიტი თითოეულ სემესტრში);
   - სემესტრის ხანგძლივობა შეადგენს 1 9 კვირას, საიდანაც 15 კვირა - საკონტაქტოა (სააუდიტორიო), ხოლო 4 კვირა - საგამოცდო;
   - საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო საზღვაო კონვენციის STCW მოთხოვნები, რაც ითვალისწინებს საცურაო პრაქტიკის გავლას საზღვაო გემებზე, სამუშაო დიპლომისათვის აუცილებელი ლიცენზიის მოსაპოვებლად. ეს მოთხოვნა გაწერილია უმასღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში;
   - საგანმანათლებლო პროგრამა აგებულ უნდა იქნას სასწავლო კურსებისა და მოდულებისაგან;
   - მოდულის კრედიტული ზომა უნდა იყოს 5-ის ჯერადი და არ უნდა აღემატებოდეს 20 კრედიტს - გარდა სასწავლო-საცურაო პრაქტიკისა;
   - მოდულის/სასწავლო კურსის სწავლება უნდა განხორციელდეს ერთი სემესტრის განმავლობაში;
   - თუ მოდული ორსემესტრიანია, მაშინ საბოლოო შეფასება მოხდება სემესტრული შეფასებების საშუალო არითმეტიკულის გამოთვლის წესით;
   - ყველა სასწავლო კურსს გააჩნია თავისი სილაბუსი;
   - ყველა მოდული უნდა შეფასდეს სისტემით, რომელიც აუცილებლად უნდა მოიცავდეს რამოდენიმე კომპონენტს. საბოლოო შეფასება უნდა დაიწეროს მთელ სასწავლო პროცესში გაწეული აქტივობების გათვალისწინებით;

2) **კრედიტების დანაწილების წესი:**
   - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების 240 კრედიტი შემდეგნაირად უნდა გადანაწილდეს: 180 კრედიტი ძირითადი სპეციალობიდან („საზღვაო ნავიგაცია“, ან „გემის მექანიკა)“ და 60 კრედიტი ზოგადი ან/და თავისუფალი კომპონენტებიდან;
   - საბაკალავრო კურსის 240 კრედიტში მინიმუმ 10 კრედიტი უნდა დაეთმოს არჩევით დისციპლინებს;
   - ყველა მოდულს მიენიჭოს საიდენტიფიკაციო კოდი სასწავლებლის მიერ დადგენილი წესით;
   - ყველა სასწავლო მოდულს უნდა ჰქონდეს თავისი სილაბუსი;
   - ყველა მოდული უნდა შეფასდეს და შეფასების სისტემა აუცილებლად უნდა მოიცავდეს რამდენიმე კომპონენტს (მაგ.: წერითი ან ზეპირი გამოცდა, შუასემესტრული შეფასება, ტესტი, საკურსო ნაშრომი, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვა). საბოლოო ნიშანი უნდა დაიწეროს არა საბოლოო

გამოცდაზე პასუხის, არამედ სტუდენტის მიერ მთელ სასწავლო პროცესში გაწეული აქტივობის გათვალისწინებით;

- სტუდენტთა წარმატების შეფასება განხორციელდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემულ ბრძანებაში „კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ“ აღწერილი სქემისა და შპს „ბუსსს ანრი“–ში შემუშავებული ნორმატიული დოკუმენტის „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების პროცესის პროცედურა“ მიხედვით;
- სასწავლო წლის განმავლობაში შეძენილი გამოცდილების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამები დაექვემდებარება შემდგომ დახვეწასა და მოდიფიკაციას.

6. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა

1. სასწავლებელს აქვს კოლეჯის სტატუსი და ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) პროგრამებს;
2. საგანმანათლებლო პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა; სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა; სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა; სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა; სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.
3. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფაზა უზრუნველყოფს სასწავლებლის მისიის მხარდაჭერას. ამ ფაზაში უნდა განისაზღვროს სასურველი და საჭირო სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურა, სწავლების სფერო და ტიპი, სწავლების დონე, სასწავლო კურსების/მეცადინეობის გეგმების სწავლის შედეგები, საწყისი შეფასების გეგმა. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფაზაში ხორციელდება შემდეგი საფეხურები:
   1) საგანმანათლებლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგების განსაზღვრა;
   2) სასწავლო კურსის ფორმატის განსაზღვრა;
   3) შეფასების სისტემის შემუშავება: განისაზღვროს შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები;
   4) სასწავლო კურსების და მეცადინეობების სტრუქტურის და თანმიმდევრობის განსაზღვრა;

7. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება

1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების ფაზაში ხდება კურიკულუმისა და სასწავლო კურსების სილაბუსების შემუშავება, შესაბამისი შეფასების მექანიზმების შერჩევა, სასწავლო მასალების წარდგენა შიდა მიმოხილვისთვის, სასწავლ.
2. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესს კოორდინირებას უწევს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები (აკადემიური პერსონალი, მოწვეული მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, სტუდენტები/მსმენელები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები). საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს შემუშავების პროცესის საჯაროობასა და გამჭვირვალობას; ორგანიზებას უკეთებს პროგრამის პროექტის საჯარო განხილვას შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის აკადემიური პერსონალის, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტების, მასწავლებლების/ინსტრუქტორების მონაწილეობით;
3. საგანმანათლებლო პროგრამებს შეიმუშავებს შესაბამისი ან მონათესავე კვალიფიკაციის და უნარის მქონე აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, რომელსაც შემდგომში ეწოდება პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის შემუშავებისას პროგრამის ხელმძღვანელი აუცილებლად ითვალისიწნებს არსებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის შემადგენლობას და რაოდენობას, პროგრამის განსახორციელებლად საჭირო მატერიალურ და ტექნიკურ ბაზას, ბიბლიოთეკაში სავალდებულო სახელმძღვანელობის არსებობას, საჭიროებისამებრ შესაბამისი სიმულატორების არსებობას, საწარმოო და საცურაო პრაქტიკის უზრუნველყოფას, ურთიერთობას დამსაქმებლებთან და სხვა აუცილებელ საკითხებს, რომელიც მოითხოვება ამა თუ იმ პროგრამის განსახორციელებლად. პროგრამის შემუშავების შემდეგ პროგრამის ხელმძღვანელი მოითხოვს შესაბამისი განყოფილებებისგან სილაბუსების შემუშავებას, რომელბიც თან უნდა ერთვოდეს ყოველ საგანმანათლებლო პროგრამას. შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამები

სილაბუსებთან ერთად წარედგინება სენატის სხდომას პირველადი განხილვისთვის. თუ პირველადი განხილვის შედეგად დაფიქსირებულია შენიშვნები, ჩასწორებული პროგრამა თანმხლები სილაბუსებით განმეორებით კვლავ წარედგინება განსახილავად სენატის სხდომას. შენიშვნების არ არსებობის შემთხვევაში, სენატის წევრების კენჭისყრით დგინდება პროგრამის თანმხლები სილაბუსებით დამტკიცება. პროგრამას ამტკიცებს სასწავლებლის რექტორი და გამოსცემს სამართლებრივ აქტს;

4. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლიელბების შეტანა ხორციელდება გამომდინარე ცვლიელებეიდან განათლების ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში ან კვალიფიკაციის მარეგულირებელ ნაციონალურ და საერთაშორისო სტანდარტებში;
5. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს ევალება: სტუდენტთა ინფორმირება კურიკულუმის შესახებ, კონსულტაციის გაწევა სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ოპტიმალურად დაგეგმვის მიზნით, პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;

8. საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცება და განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, აკრედიტაციისთვის მზადების პროცესს ზედამხედველობას უწევს ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; ასევე გასცემს სავალდებულო შესასრულებელ მითითებებს, კონსულტაციებს და რეკომენდაციებს; ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსილია, დასაბუთებული წერილობითი შუამდგომლობით, მიმართოს სენატს, ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების თაობაზე. ხმების უმრავლესობით ამტკიცებს სენატი. სენატი ასევე განიხილავს და ამტკიცებს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია პროგრამის განვითარების, განხორციელების, შიდა და გარე შეფასებების განხორციელების ორგანიზებულად, ჯეროვნად შესეულებაზე. სენატი ღებულობს გადაწვეტილებას დამტკიცებული პროგრამის აკრედიტაციაზე წარდგენის შესახებ. პროგრამის დამტკიცების შემდეგ, სენატის გადაწყვეტილების თანახმად პროგრამის ხელმძღვანელი სასწავლო განყოფილებასთან ერთად კოორდინირებულად ამზადებს თვითშეფასებას და დამადასტურებელ მასალებს აკრედიტაციის განაცხადის უზრუნველსაყოფად. ფაკულტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გადასცემს პროგრამულ მიმართულებას, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში კოორდინაციას უწევს პროგრამის განხორციელებას, ორგანიზაციულ აქტივობებს, შეფასებას, ანალიზს და ა.შ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების კონსოლიდაციას, ძირითად ტექსტში ინტეგრირებას ახორციელებს ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის და იურიდიული სამსახურები;
2. აკრედიტებული პროგრამის განხორციელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი 15 სამუშაო დღის ვადაში ვალდებულია მოამზადოს პროგრამის შესახებ ინფორმაციის შემცველი კატალოგი (პროგრამის შესახებ შემდეგი ძირითადი ინფორმაციის მითითებით: სწავლების სააფეხური, პროგრამის დასახელება, კვალიფიკაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განხორციელების ადგილი, სწავლების ენა, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, ჩარიცხვის წინაპირობა, პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები); პროგრამის ხელმძღვანელი საგანმანათლებლო პროგრამაზე საჯარო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით კატალოგს მიაწოდებს სასწავლებლის ვებ-გვერდის მართვაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც მოქმედი წესის თანახმად განათავსებს მას. პროგრამის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ვებგვერდზე განთავსებული კატალოგის რეგულარულ განახლებას.

9. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება, შეჩერება/გაუქმება

1. მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება რეგულარულ შეფასებას; საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება გამოკითხვებისა და უფლებამოსილი პირების მიერ საგანმანათლებლო პროგრამის დარგის მიღწევებთან შესაბამისობის შეფასების გზით;
2. ხარისხის სამსახური, სასწავლო განყოფილება და პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი სასწავლო პროცესის, მათ შორის საგამოცდო პროცესის, მონიტორინგს/საუდიტორიო მუშაობაზე დაკვირვებას და სხვ.;
3. ატარებს სტუდენტთა, პროგრამის განმახორციელებელი ან/და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვებს;
4. ახორციელებს სასწავლო მასალის მონიტორინგს;
5. აწარმოებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზს;

6. საჭიროებისამებრ ახორციელებს პროგრამის, სასწავლო კურსის სილაბუსისა და შესაბამისი სასწავლო მასალის ექსპერტიზა (შიდა და გარე).
7. ხარისხის სამსახურის ორგანიზებით, ყოველი სასწავლო წლის დასრულებიდან ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იმართება შეხვედრა, რომელზეც განიხილება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებები და პროგრამის განვითარების რეკომენდაციები; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შეხვედრაზე შემუშავებულ და შეჯერებულ რეკომენდაციებს გადასცემს პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც პასუხისმგებელია ცვლილებების პროექტის და კორექტირებული პროგრამის მომზადებაზე;
8. შესაბამისი მიმართულება პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის, მისი კომპონენტების, დადგენილი წესით მართვაზე, განვითარებაზე და შინაარსზე.
9. საგანმანთლებლო პროგრამის გარე შეფასებას ახორციელებს დაინტერესებული პირები, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, პროფესიული ორგანიზაციები, პარტნიორი დაწესებულებები გამოკითხვებისა და ერთობლივი მიზნობრივი შეხვედრების გზით და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მარეგულირებელი საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად.
10. პროგრამული მიმართულება ვალდებულია პროგრამის მოქმედების შეწყვეტისთანავე უზრუნველყოს პროგრამის, მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტების, მასალის სისტემატიზაცია, შეაჯამოს პროგრამის განხორციელებიდან მიღებული გამოცდილება, გამოავლინოს ძლიერი და სუსტი მხარეები და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ჩააბაროს სბუსსს ანრის არქივს;
11. საგანმანათლებლო პროგრამის ვადამდე შეწყვეტა, შეჩერება/გაუქმება დასაშვებია სენატის წინაშე საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის , ბუსსს ანრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, გენერალური დირექტორის/რექტორის დასაბუთებული შუამდგომლობით.
12. საგანმანათლებლო პროგრამის ვადამდე შეწყვეტის, შეჩერების/გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სენატი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
13. ბუსსს ანრი პარტნიორ უნივერსიტეტებთან დადებული თანამშრომლობითი შეთანხმებების საფუძველზე უზრუნველყოფს ვადამდე შეწყვეტილი, შეჩერებული/გაუქმებული პროგრამის სტუდენტებისთვის სწავლის გაგრძელებას. იმ შემთხვევაში თუ პარტნიორი სასწავლებლების მეშვეობით ვერ ხერხდება სტუდენტთა საგანმანანთლებლო უფლების უზრუნველყოფა და ისინი უარს ამბობენ მობილობის უფლების გამოყენებაზე, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით პროგრამა შეიძლება განხორციელდეს მილევად რეჟიმში.
14. ვადაგასული, შეწყვეტილი და გაუქმებული საგანმანათლებლო პროგრამები ექვემდებარება არქივირებას.

10. საგნობრივი სილაბუსების შედგენა

საგნის მეთოდური უზრუნველყოფა გულისხმობს:

1. კონკრეტული დისციპლინის უზრუნველყოფის მასალებს: სალექციო, პრაქტიკულ, ლაბორატორიულ მასალებს, აუდიტორული მეცადინეობების მულტიმედიური თანხლების მასალებს (აუდიო–ვიდეო მასალა, ინფორმაცია ელექტრონულ მატარებელზე);
2. სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მასალებს: წერითი დავალებების მოცემულობები, მეთოდური მითითებები რეფერატების, პრეზენტაციებისა და პრაქტიკის ანგარიშის შესასრულებლად;
3. სტუდენტთა ცოდნის შეფასების მასალებს: წერითი დავალების კითხვებს, კითხვებს ტესტებისათვის, საგამოცდო კითხვებს;
4. მეთოდურ რეკომენდაციებს სასწავლო-საწარმოო და საცურაო პრაქტიკების გასავლელად;
5. სილაბუსი წარმოადგენს საგნის მეთოდური უზრუნველყოფის ძირითად ელემენტს, რომელიც ქმნის საგნის სწავლების განვითარების წინაპირობებს, განსაზღვრავს საგნის სწავლების გეგმას და უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და სასურველი შედეგის მიღწევის შესახებ. სილაბუსის დახმარებით შესაძლებელია აკადემიური მუშაობის ხარისხის კონტროლი ადმინისტრაციის მიერ.

11. სილაბუსის შედგენის ინსტრუქცია

1) სილაბუსი უნდა შეიცავდეს ამომწურავ ინფორმაციას სასწავლო კურსის შესახებ, რომელიშიც მოცემული იქნება: კურსის დასახელება, სწავლების საფეხური, მიზანი და ამოცანები, სწავლების ფორმატი (სწავლების მეთოდი), კურსის საათობრივად გაწერილი შინაარსობრივი გეგმა, კურსის შეფასების პრინციპები (შუალედური, საკონტროლო წერები, შემაჯამებელი და სხვა), მოსალოდნელი შედეგები, კერძოდ, იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომელსაც უზრუნველყოფს სასწავლო კურსის დასრულება;
2) სილაბუსის პროექტი, განხილული და დამტკიცებული სენატი მიერ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უნდა წარედგინოს სასწავლო პროცესის დაწყებამდე, არაუგვიანეს 1 თვისა;
3) სილაბუსში შესწორების შეტანა სწარმოებს საგანმანათლებლო პროგრამის ცვლილებებიდან გამომდინარე;
4) სილაბუსის შედგენისას პედაგოგმა (სილაბუსის შემდგენელმა) უნდა შეავსოს სილაბუსის ფორმა სასწავლებელში მიღებული ფორმატით **(იხ.დანართი 1),** რომელიც უზრუნველყოფს პასუხს შემდეგ პუნქტებზე:
   - სასწავლო კურსის კოდი, (კოდს ანიჭებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესით); სასწავლო კურსის სრული სახელწოდება
   - სასწავლო კურსის მოცულობა ECTS-კრედიტებში;
   - სასწავლო კურსის სტატუსი: სასწავლო კურსის კუთვნილება: ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის შემადგენლობაში შედის სასწავლო კურსის ; სასწავლო კურსის სტატუსი (სავალდებულო/არჩევითი);
   - კურსი და სემესტრი: სასწავლო კურსისგ შესწავლისათვის განკუთვნილი დრო საგანმანათლებლო პროგრამაში: კურსი/სემესტრი;
   - პასუხისმგებელი მიმართულება: სასწავლო კურსის/ სილაბუსის შემუშავებაზე პასუხისმგებელი მიმართულება;
   - სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები: წინმსწრები სასწავლო კურსების ან კომპეტენციების მოკლე ჩამონათვალი აუცილებელი კონკრეტული სასწავლო კურსის შესასწავლად;
   - შესაბამისობა STCW კოდექსთან: STCW კოდექსის თავის და განყოფილების აღნიშვნა, რომლთა მოთხოვნებთან შესაბამისობა დაცული უნდა იყოს;
   - შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებელთან;
   - სასწავლო კურსის სწავლების მიზანი: ლაკონურად განსაზღვრული ამოცანები დასახული კონკრეტული სასწავლო კურსით (რამოდენიმე კონკრეტული ამოცანა)
   - სასწავლო დისციპლინის საკითხების გაწერა საკონტაქტო კვირეების მიხედვითა და მეცადინეობათა სახის, საკონტაქტო საათების მითითებით);
   - სილაბუსში უნდა გაიწეროს განმახორციელებელი პედაგოგის მიერ სტუდენტებისათვის დანიშნული დამატებითი დამოუკიდებელი მეცადინეობის დრო აუდიტორიის მითითებით;
   - საათების სრული რაოდენობა: საკონტაქტო, შეფასებისათვის დათმობილი დრო, დამოუკიდებელი მუშაობისათვის განსაზღვრული საათების ჯამი (1 კრედიტი 25 ასტრონომიული საათის ტოლფასია).

12. სწავლებისა და სწავლის მეთოდები:

1) **დამოუკიდებელი სწავლის დრო**: დრო, რომელიც ესაჭიროება საშუალო უნარებისა და მომზადების სტუდენტს სასწავლო კურსის ასათვისებლად, გათვალისწინებული საშინაო დავალებების, სამუშაო ჯგუფში წარმოდგენილი პრეზენტაციების, ლაბორატორიული სამუშაოების და პრაქტიკის ანგარიშების შესასრულებლად, დრო სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან მუშაობისათვის (საათების სრული რაოდენობისა და საკონტაქტო და შეფასებისათვის დათმობილი საათების ჯამური ოდენობის სხვაობა);
2) ცოდნის შეფასების დრო: სავარაუდო დრო, რომლსაც სტუდენტი ანდომებს შუალედური და დასკვნითი გამოცდების დასწრებას;
3) სწავლების სახეები: სააუდიტორიო მეცადინეობათა სახეები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო

კურსის/მოდულის შესასწავლად (ლექციები, პრაქტიკულები/ჯგუფში მუშაობა, ლაბორატორიული პრაქტიკუმი, ტრენაჟერული მომზადება, თემების გუნდური განხილვა სასწავლო გემზე/სახელოსნოებში, საცურაო პრაქტიკის ხელმძღვანელთან მუშაობა და სხვა);

4) სხვა სასწავლო მეთოდები: მუშაობათა (დამოუკიდებელი) რეკომენდებული სახეები, რომლებიც დაეხმარება სტუდენტს სასწავლო მასალის ეფექტურად ათვისებაში (მითითებული ლიტერატურა, ინტერნეტი, კვლევა და სხვა);
5) სასწავლო კურსის შინაარსი: შესასწავლი თემების ჩამონათვალი ლიტერატურის მითითებით. ცხრილის სახით ჩამოყალიბებული უნდა იქნეს ლექციების, პრაქტიკულების, სამუშაო ჯგუფში მუშაობისა და ლაბორატორიული სამუშაოების თემების ჩამონათვალი;
6) ძირითადი ლიტერატურა: ძირითადი სახელმძღვანელო(ები) ან კონსპექტი/რიდერი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს სწავლება, ლიტერატურის რეფერენსის მითითებით (სასწავლებლის ბიბლიოთეკა, ლექტორის პირადი საკუთრება, თავისუფალი გაყიდვა და ა.შ.). სავალდებულო სახელმძღვანელოთა ჩამოთვლისას განსაზღვრული უნდა იქნეს სახელმძღვანელოთა აუცილებლობა კურსის ათვისებისათვის (სავალდებულო/ალტერნატიული).თუ ძირითადი სახელმძღვანელო არ არის ქართულ ენაზე, მაშინ კურსის შესწავლის წინაპირობებში აღნიშნული უნდა იყოს, რომ სტუდენტს მოეთხოვება სახელმძღვანელოს ენის ცოდნა. გასათვალისწინებელია, რომ დაწყებით სემესტრებში არ არის რეკომენდებული მხოლოდ უცხოენოვანი ძირითადი სახელმძღვანელოების გამოყენება;~
7) დამატებითი ლიტერატურა: ყველა წიგნის, სამეცნიერო სტატიის, ვებ-გვერდისა და სხვა სასწავლო მასალის ჩამონათვალი, რომელთა გამოყენება შეიძლება სწავლებისას;
8) სასწავლო კურსის სწავლების შედეგები (რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეეძლოს): უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო აღმწერის შესაბამისი პროფესიული თუ ზოგადი უნარ-ჩვევები, რომლებსაც უნდა ეუფლებოდეს და ის მოთხოვნები, რომლებსაც რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი სასწავლო კურსით გათვალისწინებული მასალის შესწავლის შედეგად (უნდა ჩამოვაყალიბოთ მოკლედ, ლაკონურად, პუნქტებად);
9) შეფასების მეთოდები: რაოდენობა და სახეობა, რა მეთოდებით ხდება შეფასება: წერითი/ზეპირი სამუშაო, ჯგუფში პრეზენტაცია, დასკვნითი გამოცდა და სხვა, როგორია მათი პროცენტული წვლილი საბოლოო შეფასების დადგენაში - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კოლოქვიუმი, წერითი/ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ლაბორატორიული პრაქტიკუმი, საკონტროლო დავალება. სტუდენტის აკადემიური აქტიურობის შეფასება პედაგოგის მიერ, შუალედური შეფასების ჩატარების ფორმისა და რაოდენობის მითითებით, საბოლოო შეფასებაზე გავლენის მითითებით. ინფორმაცია შეფასების შესახებ სტუდენტებს ყველაზე მეტად აინტერესებთ, ამიტომ დეტალურად უნდა იქნეს გაწერილი შეფასების წესი და კრიტერიუმები ცალკეული კომპონენტისათვის. ეს თავიდან აგვაცილებს შესაძლო გაუგებრობას;
10) სტუდენტისთვის სწავლის დაწყებამდე უნდა იყოს ცნობილი შემდეგი მონაცემები:
   - შუასემესტრული ტესტი: კითხვების რაოდენობა ტესტში, ტესტის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ტესტური კითხვების ჩამონათვალი (ე.წ. ბაზა, საიდანაც მოხდება საგამოცდო კითხვების ამორჩევა);
   - წერითი კოლოქვიუმი: კოლოქვიუმის თითოეული საკითხის მაქსიმალური შეფასების ქულა, კოლოქვიუმის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და საკითხების ჩამონათვალი (ე.წ. ბაზა, საიდანაც მოხდება საგამოცდო საკითხების ამორჩევა, დანართის სახით);
   - სემესტრის განმავლობაში აკადემიური აქტიურობის შეფასება პედაგოგის მიერ, ე.წ. პედაგოგის რეიტინგული შეფასება: შეფასების მეთოდები და თანაფარდობა.

11) **დასკვნითი გამოცდა:**
   - დასკვნითი გამოცდა: ჩატარების ფორმა და პირობები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს სტუდენტი გამოცდაზე დასაშვებად. დასკვნითი გამოცდის ბილეთებში შესატანი საკითხების ჩამონათვალი (ე.წ. ბაზა, საიდანაც მოხდება საგამოცდო საკითხების ამორჩევა, დანართის სახით);
   - დასკვნითი გამოცდის ჩატარების ფორმა შეიძლება იყოს: <u>წერითი სახით</u> – საგამოცდო ბილეთში მოცემულ ყველა საკითხზე საჭიროა პასუხის გაცემა წერილობით, თითოეულ საგამოცდო საკითხს

მინიჭებული ექნება შეფასების მაქსიმალური შესაძლო ქულა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 5 ქულას; ზეპირი სახით – საგამოცდო ბილეთში მოცემულ ყველა საკითხზე საჭიროა პასუხის გაცემა ზეპირად. თითოეულ საკითხს მინიჭებული ექნება შეფასების მაქსიმალური შესაძლო ქულა; ტესტის სახით – ტესტის ყოველ კითხვას მინიჭებული ექნება 1 ქულა, რომელსაც სტუდენტი მოიპოვებს სწორი პასუხის გამოცნობის შემთხვევაში. ტესტის საბოლოო შეფასება იქნება დაგროვებული ქულების ჯამი; კომბინირებული სახით – წერითი და ზეპირი გამოკითხვის მეთოდების ერთდროული გამოყენებით (შესაძლოა, უცხო ენებში, ან საცურაო პრაქტიკის გამოცდის ჩასატარებლად). ამ შემთხვევაში თითოეულ მეთოდს აქვს თავისი წილი გამოცდის საბოლოო შეფასებაში. წერა - 20 ქულიანი სკალა, ზეპირი 20 - ქულიანი სკალა;

12) მოდულის საბოლოო შეფასებისათვის თითოეული მეთოდის ხვედრითი წილი მითითებული უნდა იყოს ცხრილის სახით. მაგ.:

შუასემესტრული ფიქსირებული შეფასება (ტესტი, წერითი კოლოქვიუმი, საკონტროლო დავალება, საკურსო შრომა, ლაბორატორიული პრაქტიკუმი, წერილობითი და ზეპირი გამოკითხვა/პრეზენტაცია, სამუშაო ჯგუფში და სხვა.)	20% - მაქსიმუმ 20 ქულა
პედაგოგის რეიტინგული შეფასება (პედაგოგის მიერ სტუდენტის სისტემატიური მუშაობის შეფასება სემესტრის განმავლობაში)	20% - მაქსიმუმ 20 ქულა
შუასემესტრული გამოცდა	20% - მაქსიმუმ 20 ქულა
დასკვნითი გამოცდა	40% - მაქსიმუმ 40 ქულა
საბოლოო (შემაჯამებელი) შეფასება	100% - მაქსიმუმ 100 ქულა

13) სილაბუსის შემმუშავებლის გვარი, სახელი, კადემიური თანამდებობა, წოდება საზღვაო ფლოტში, ელექტრონული (E-mail) მისამართი. აგრეთვე იმ პედაგოგიური პერსონალის მონაცემები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სილაბუსის შედგენისა და სასწავლო კურსის განხორციელების/სწავლების პროცესში;

14) სილაბუსის შედგენის თარიღი: როდის იქნა სილაბუსის წინამდებარე რედაქცია შესრულებული მოდულის ხელმძღვანელის მიერ (სილაბუსის ყოველი ახალი რედაქციის დამტკიცება ხდება სენატის სხდომაზე);

15) სილაბუსი უნდა გაფორმდეს დადგენილი წესით.

13. შემოწმება, კონტროლი

მიმდინარე კონტროლი საგანმანათლებლო პროგრამაში დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე ხორციელდება:

1. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლის მიერ;
2. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ;
3. საზღვაო-საინჟინრო ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ (სასწავლო განყოფილების უფროსი);
4. შპს ბუსსს ანრის ხარისხის სამსახურის მიერ.

14. რესურსები

საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ინსტრუქციით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელია შემდეგი რესურსები:

1. სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი შიდა და გარე ნორმატიული დოკუმენტები;
2. ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისა და საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების დებულებების პრაქტიკული განხორციელებისათვის საჭირო აკადემიური პერსონალი;
3. მატერიალური რესურსები: სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა, საბეჭდი ქაღალდი, სამუშაო

ადგილი, სასწავლო ლაბორატორია, კომპიუტერული და მამრავლი ტექნიკა

15. პასუხისმგებლობათა განაწილება

15.1 შპს ბუსსს ანრის რექტორი:

- ამტკიცებს წარდგენილ წესს;
- გამოსცემს ნორმატიულ აქტს (ბრძანებას) წესის დამტკიცების შესახებ;

15.2 შპს ბუსსს ანრის ხარისხის სამსახური:

- პასუხისმგებელია წესის მომზადებაზე, როგორც სასწავლებლის შიდა ნორმატიული დოკუმენტის, შედგენისა და გაფორმების ერთიანი სტანდარტების შემუშავებაზე;
- პასუხისმგებელია წესის შესაბამისობაზე შპს ბუსსს ანრის შიდა მარეგულირებელ ნორმატიულ დოკუმენტებთან;
- უფლებამოსილია სენატის წინაშე დააყენოს დამტკიცებული წესის გადასინჯვის ან მასში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

15.3 სასწავლო განყოფილების ადმინისტრაციის წარმომადგენელი:

- ორგანიზებას უწევს წესის განხილვას სენატზე.
- წარადგენს სენატზე წესს დასამტკიცებლად;
- პასუხისმგებელია დამტკიცებული წესის მოთხოვნათა შესრულებაზე.

15.4 პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელი:

- ვალდებულია იხელმძღვანელოს წესის მოთხოვნებით საგანმანათლებლო პროგრამის მომზადებისას;
- ფაკულტეტის უფროსის წინაშე წარადგენს მომზადებულ საგანმანათლებლო პროგრამას სენატზე;
- უფლებამოსილია დააყენოს დამტკიცებული წესის გადასინჯვის ან მასში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა

16. ანგარიშგებითი დოკუმენტაცია

1. სასწავლო კურსის სილაბუსები;
2. შეფასების უწყისები

17. კონფიდენციალობა

არსებული პროცედურა წარმოადგენს შპს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.

საგანმანათლებლო პროგრამების აგების, დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი

Regulation for planning, creation, approval, development and repeal of educational programs

დანართი 1

სილაბუსის ფორმა

სასწავლო კურსის დასახელება		
მოცულობა კრედიტებში		
სწავლების საფეხური		
სასწავლო კურსის სტატუსი	სავალდებულო	
	არჩევითი	-
განხორციელების სემესტრი		
პასუხისმგებელი მიმართულება		
პასუხისმგებელი ფაკულტეტი		
სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები		
შესაბამისობა STCW სტანდარტთან		
შესაბამისობა დარგობრივ მახასიათებელთან		
სასწავლო კურსის სწავლა- სწავლების მიზანი		
სწავლებისადასწავლის ფორმატი, მეთოდები და განაწილება დროში	ფორმატი	
	საკონტაქტო საათების რაოდენობა	
	კონსულტ. და სტ-თან ინდ. მუშაობის დრო	
	დამოუკიდებელი სწავლის დრო	
	ცოდნის შემოწმებისა და შეფასების დრო:	
	საათების სრული რაოდენობა	
	სწავლის მეთოდები	

სასწავლო კურსის შინაარსი და განხორციელების მახასიათებლები

საათების განაწილება

კვ №	საკითხთა ჩამონათვალი	საათების განაწილება			
		ლექც	ჯგ. მუშ.	ლბ. პრ.	დამოუკ.
1					
2					
3					
შემაჯამებელი წერითი სამუშაო - I					
4					
5					
შემაჯამებელი წერითი სამუშაო - II					
6					
7					
შუალედური გამოცდა					
8					

9						
10						
შემაჯამებელი წერითი სამუშაო - III						
11						
12						
13						
შემაჯამებელი წერითი სამუშაო - IV						
14						
15						
დასკვნითი გამოცდა						
ჯამში						
ცოდნის შეფასების დრო						
სულ სემესტრში						

ძირითადი ლიტერატურა	
დამატებითი ლიტერატურა	
სწავლებისშედეგები	*მოდულის შესწავლის შედეგად სტუდენტმა უნდა იცოდეს:* *მოდულის შესწავლის შედეგად სტუდენტს უნდა შეეძლოს:* სასწავლო კურსი ავითარებს შემდეგ კომპეტენციებს:
შეფასების ფორმები , მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები	
სილაბუსის ავტორი	
განხორციელებაში მონაწილე პირები	
შემუშავების და განახლების თარიღი	

ცოდნა გაცნობიერება		ცოდნის პრაქტიკაში გამო-ყენება		დასკვნის უნარი		კომუნიკაციის უნარი		სწავლის უნარი		ღირებულებები	
ზ	დ	ზ	დ	ზ	დ	ზ	დ	ზ	დ	ზ	დ

18. პერიოდული შემოწმების აღრიცხვის ფურცელი

№	პერიოდული შემოწმების თარიღი	შემოწმების ჩამტარებელი პირის თანამდებობა და ინიციალები	ხელმოწერა	შესწორებას ექვემდებარება პუნქტები

19. პერსონალის გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნუნუ მიქელაძე	სასწავლო გაწყოფილების საქმისმწარმოებელი	05.04.2019	28.03.19	
2	თამთ ჩხეიძე	საქმისწარმოების, მიმოწერისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი	05.04.2019	28.03.19	
3	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	05.04.2019	28.03.19	
4	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	05.04.2019	28.03.19	
5	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	05.04.2019	28.03.19	
6	ირაკლი ბეჟნიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
7	ფირუზა ვარშანიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
8	თემურ დევაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
9	ლავრენტი სეიდიშვილი	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
10	ბადრი გიორგაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
11	ბადრი დოღონაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
12	აკაკი ესენჯია	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
13	მირანდა ჭინკაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
14	ია მოწყობილი	პედაგოგი	05.04.2019	29.03.19	
15	ნანა მალაყმაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
16	მარგარიტა გაბუნია	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
17	ბადრი ბერიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
18	რეზო ბერიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
19	თემურაზ შამილაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
20	ამირან ფუტკარაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
21	თამარ გუჩმანიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
22	დარეჯან ასამბაძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
23	ანზორ შარაშიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
24	თეა დიასამიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
25	გიორგი უღრელიძე	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
26	ალექსანდრე სურმანიძე	პედაგოგი	05.04.2019	29-03-19	
27	ნათელა ბალაძე	პედაგოგი	05.04.2019	29.03.19	
28	იური ქადარია	პედაგოგი	05.04.2019	28.03.19	
29	სულეიმან ცინცაძე	პედაგოგი	05.04.2019	28-03-19	

20. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

საგანმანათლებლო პროგრამების აგების, დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების წესი

Regulation for planning, creation, approval, development and repeal of educational programs

ნდ N-2-0401-12

1.2 შინაგანაწესის შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:
ხმს სპეციალისტი ლია ფარტენაძე

1.3 შემსრულებელი _____ _____

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	ანზორ დიასამიძე გენერალური დირექტორი				
2	ხმს მენეჯერი რუსუდან დიასამიძე		27.03.19		
3	სასწავლო განყოფილების უფროსი გურამ ქათამაძე		27.03.19		

დოკუმენტი შესათანხმებლად გააგზავნა _____ _____ 27.03.2019
ხელმოწერა სახელი, გვარი თარიღი